კურიკულუმი

სადოქტორო პროგრამის დასახელება	***ფილოლოგია* 1005**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	ფილოლოგიის დოქტორი
ფაკულტეტის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	**პროგრამის ხელმძღვანელი:** ნინო ჩიხლაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ტელ.: 595 43 45 50; ელ-ფოსტა: ninochikhladze55@gmail.com nino.chikhladze@atsu.edu.ge
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წლისა, სასწავლო კომპონენტი - 45 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	-------

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციოლოგიის, ან განათლების მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით, შეიძლება განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები.

დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ან განათლების მეცნიერებათა მაგისტრის დიპლომის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით, შეიძლება განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება:

- ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, არაბული ან სპარსული ენების ცოდნის დადასტურება C1 დონეზე (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატი), თუ დოქტორანტობის კანდიდატი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს რომელიმე ზემოთჩამოთვლილ ენას;
- ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება, ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/ გერმანულ/ფრანგულ ენას, შეუძლია გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში;
- დოქტორანტობის კანდიდატს, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის - ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
- მისაღები გამოცდის ჩაბარება შერჩეულ საკვლევ მიმართულებაში;
- რეფერატის, ან გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების წარმოდგენა საკვლევი მიმართულების მიხედვით;
- სავარაუდო ხელმძღვანელის რეკომენდაცია.

პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია ფილოლოგთა ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრის მომზადება, მისთვის ჰუმანიტარული აზროვნების თანამედროვე მიღწევების, სიახლეების და გამოწვევების გაცნობა, ქართული სამეცნიერო დონის ამაღლებასა და წინსვლაზე ზრუნვის ჩანერგვა, მისი უნარების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრება; დოქტორანტისთვის ქართული მეცნიერების მსოფლიო კულტურის კონტექსტში კვლევის წარმოების და საკუთარი კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ინტეგრირების სწავლება; კონკურენტუნარიანი კადრის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზრისთვის მომზადება; დოქტორანტისთვის ღრმა და სისტემური ცოდნის შეძენა; დამოუკიდებელი, თვითკრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ინიციატივიანი სპეციალისტის გაზრდა, რათა დოქტორანტმა შეძლოს ფილოლოგიის სფეროში პრობლემის დასმა და სინთეზირებული მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით გადაჭრა, ახალი ცოდნის შექმნა და კვლევის თანამედროვე მეთოდების თუ მიდგომების შემუშავება, ჯგუფის მუშაობის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, ფილოლოგიის სფეროში სამეცნიერო აპარატის სრულყოფილად ფლობა და გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კონტექსტში ანალიზისას, არჩეულ სპეციალობაში სალექციო კურსების მომზადება, ფილოლოგიაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო გამოკვლევების დაწერა, ახალი მეთოდების დამოუკიდებელი კვლევისას გამოყენება.	
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	
ცოდნა და გაცნობიერება	**ფილოლოგიის დოქტორმა იცის:** დარგის კვლევითი და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები; ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, უახლესი კონცეფციები, მნიშვნელოვანი თეორიები; ფილოლოგიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები. **ფილოლოგიის დოქტორი შერჩეული საკვლევი მიმართულების მიხედვით ფლობს:** შესასწავლი მწერლობის აქტუალურ საკითხებსა და მათი კვლევის უმთავრესი მიმართულებებს თანამედროვე ეტაპზე; ქართული მწერლობის თავისებურებებს ევროპული ლიტერატურის კონტექსტში; ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკას; ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტური მახასიათებლებს; ანტიკურობისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების მთავარ მიმართულებებს; ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ აპარატს; ღრმა და სისტემურ ცოდნას არჩეულ ქვედარგში; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუშაობის წარმართვის უნარს; ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო ტექსტების შექმნისა და გაფორმების უნარს. ენების მორფოლოგიას, სინტაქსს, სტილისტიკას, ლექსიკას და ფრაზეოლოგიას; ლინგვისტურ სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ აპარატს; სტრუქტურულ, დესკრიფციულ, ფუნქციონალურ გრამატიკას და კომპიუტერული ლინგვისტიკის მოდელების აგების პრინციპებს; ქართველური, გერმანული, შეპირისპირებითი, თეორიული ენათმეცნიერების ძირითად და აქტუალურ პრობლემებს; სინქრონულ და დიაქრონულ მეთოდებს; ღრმა და სისტემურ ცოდნას არჩეულ ქვედარგში; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუშაობის წარმართვის უნარს; ენათმეცნიერებითი სამეცნიერო ტექსტების შექმნისა და გაფორმების უნარს; ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის, საგრანტო პროექტების და სამეცნიერო ნაშრომების შედგენის პრინციპებს; საგანმანათლებლო ტექნოლოგიებსა და ელექტრონული სწავლების პრინციპებს.
უნარი	**ფილოლოგიის დოქტორს აქვს:** არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კომპარატისტული კვლევის მეთოდების გამოყენებით უნარი; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების და რეფერატული ნაშრომის მომზადების უნარი ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ;

	ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობის, მხატვრული ტექსტების ანალიზის და ინტერპრეტაცის უნარი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების გათვალისწინებით; ფილოლოგიის სფეროს აქტუალური, რთული და კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არჩეულ ქვედარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგებისა და დამუშავების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენის (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადების უნარი შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში. კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი; სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; ფილოლოგიის სფეროში მიღებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მრავალმხრივი ანალიზის, ფილოლოგიური და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების უნარი; კვლევის მონაცემების კრიტიკული და შემოქმედებითი ანალიზის, შეფასების, არგუმენტირების, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებზე მოსაზრებების, დასკვნების, არგუმენტების გაზიარების უნარი ქართულ და უცხოურ ენებზე; უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი; დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის, მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობის, ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი; იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; ოპონენტის არგუმენტირებული მოსაზრების მოსმენის უნარი; სამეცნიერო დიალოგის წარმართვის უნარი.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**ფილოლოგიის დოქტორს აქვს:** კრეატიული აზროვნება და ახალი იდეების გენერირების უნარი; სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის და მართვის უნარი; უწყვეტი განათლების მნიშვნელობის ცოდნა, სამეცნიერო პროფილის შეცვლის და ახალ ვითარებასთან ადაპტირების უნარი; ფილოლოგიის სფეროში არსებული ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის მიღების უნარი; სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; საკუთარ თავზე მუშაობის და მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლისათვის საჭირო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი. პროფესიული ღირებულებების დაცვა; ფილოლოგიის ღირებულებების საერთო ევროპული და საკაცობრიო მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; სპეციალისტთა მიმართ კოლეგიალური დამოკიდებულება; კულტურათაშორისი განსხვავებების აღიარება, კულტურული მრავალფეროვნების აღქმა, ადეკვატური გაგება, ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურების, აზრის, დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა.
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	
ვერბალური, ინტერაქციული სწავლების მეთოდები; დისკუსია/დებატები, დემონსტრირების, სწავლების	

ინდუქციური/დედუქციური, სინთეზის, ახსნა-განმარტებითი მეთოდები; დაკვირვება და ექსპერიმენტი, ჰიპოთეზა და სამეცნიერო მოდელირება; შედარებით-ისტორიული ანალიზის, ენობრივი და ლიტერატურული პროცესების სისტემური და კომპარატივული ანალიზის, Student Centered Teaching) და შერეული ან ონლაინ-სწავლის (Blended Learning) მეთოდები.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამით განსაზღვრული 180 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **სასწავლო კომპონენტი - 45 ECTS კრედიტი.** აქედან, ყველა ქვედარგისათვის სავალდებულო - 30 ECTS კრედიტი;

არჩევითი - 15 ECTS კრედიტი.

(სასწავლო გეგმა იხ. დანართი 1)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

- **სასწავლო კომპონენტი**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით №5(17/18) – „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტს)* - **არა უმეტეს 30 ქულა;**

შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) **(C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) **(E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით**
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

პროფესორის ასისტენტობის (პედაგოგიური პრაქტიკის) შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და სხვა.

- **კვლევითი კომპონენტი**

სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დისკუსიაზე გატანის წინაპირობებია შემდეგი:

1. სადოქტორო პროგრამით სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული 45 კრედიტის ათვისების დამადასტურებელი კრებსითი უწყისის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კრებსით უწყისს გასცემს დოქტორანტურის განყოფილება და ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი;

2. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული არანაკლებ სამი კოლოქვიუმის შესრულების ოქმის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კოლოქვიუმების შესრულება დასტურდება დოქტორანტურის განყოფილების მიერ გაცემული ცნობით არანაკლებ სამი კოლოკვიუმის შესრულების შესახებ, ცნობას ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი. კოლოქვიუმების შეფასების მეთოდიკა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ივლისი №57(16/17) დადგენილებით;

3. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული პუბლიკაციების რაოდენობა, ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ დამტკიცებულ გამოცემებში, რომლებიც დასტურდება სტატიის წარდგინებით; დისერტანტმა შეიძლება წარმოადგინოს მონოგრაფიაც. მონოგრაფიაა სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღწერის, მათი გადაწყვეტის გზებისა და მეთოდების, მიღწეული კვლევითი შედეგების გამოცემა ბეჭდვითი სახით. ISBN, ISSN, არანაკლებ 100 ეგზემპლარი. ცნობა სტამბიდან, გადახდის ქვითარი;

4. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობის კონფერენციებში მონაწილეობა და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მოხსენების წარდგენა, რისი შესრულებაც დასტურდება შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნებით კონფერენციის შრომების კრებულში და მისი წარმოდგენით;

5. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობის სტატიების ანონიმი ექსპერტის მიერ შეფასება;

6. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის განხილვა დეპარტამენტის სპეციალურ სხდომაზე;

7.ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ ოფიციალური ექსპერტების გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; ოფიციალური ექსპერტების რაოდენობა და მათი შრომის შინაარსი განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 19;

8. ოფიციალური ექსპერტების დადებითი შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ 2 ან 3 შემფასებლის (რეცენზენტის) გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; თუ ვინ შეიძლება იყოს ოფიციალური შემფასებელი (რეცენზენტი) და ოფიციალური შემფასებელის (რეცენზენტის) შრომის შინაარსი განისაზღვრავრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 20 და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №40(14/15) დადგენილებით; თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება; ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს;

9. ოფიციალური შემფასებლების (რეცენზენტების)დადებითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს უფლება ეძლევა დისერტაციო გაიტანოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო განხილვისათვის, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისია დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; სასდისერტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების მუხლი 21 - ით., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17 (09/10)დადგენილებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 7 მაისის №61 (14/15), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17 (09/10) დადგენილებით;

10. სადისერტაციო კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17 (09/10) დადგენილებით;

11. სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტს დისერტანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

სადისერტაციო კომისიის წევრები სადისერტაციო ნაშრომს აფასებენ ანონიმურად აფასებენ ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელი კომისია დაადგენს ქულათა

საშუალო არითმეტიკულს, რომელსაც შეუფარდებს ლათინურენოვან შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს;

• კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს აღნიშნული სისტემით:

ა) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით:

1 - ,,სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2 - ,,არადამაკმაყოფილებელი", 3 - ,,დამაკმაყოფილებელი", 4 -,,საშუალო", 5 -,,კარგი", 6 - ,,ძალიან კარგი", 7 - ,,ფრიადი".

ბ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E;

გ) E განისაზღვრება, როგორც E – სთან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E არის , n სახის, მაშინ E განისაზღვრება n + 1 – ის ტოლად)

დ) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ა) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3 –ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს ,,სრულიად არადამაკმაყოფილებელი" –ით ან ,,არადამაკმაყოფილებელი" -ით)

ე) საბოლოო შეფასება არის ,,არადამაკმაყოფილებელი", თუ კომისიის წევრთა 1/3 –ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და E =2.

ვ) საბოლოო შეფასება არის ,,სრულიად არადამაკმაყო-ფილებელი", თუ კომისიის წევრთა 1/3 ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და E = 1.

შენიშვნა 1: სადისერტაციო ნაშრომი პლაგიატზე შემოწმდება Turnitin-ის ანტიპლაგიატის პროგრამით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული დასაქმდება საქართველოს ყველა სახელმწიფო და არასამთავრობო, საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის მქონე დაწესებულებაში, სადაც საჭიროა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ლიტერატურისა და ზოგადად, კულტურის საფუძვლების ცოდნის გამოყენებით, როგორიცაა:

- განათლების სფერო;
- ბიბლიოთეკები, მუზეუმები და საისტორიო-ლიტერატურული არქივები;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები და სხვა);
- სასწავლო და სამეცნიერო პროფილის მქონე ორგანიზაციები;
- საჯარო სექტორი;
- კერძო სექტორი
- არასამთავრობო სექტორი;
- უცხოურ-ქართული კომპანიები;
- დიპლომატიური წარმომადგენლობები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა ხორციელდება აწსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე (მისამართი: თამარ მეფის გამზ. N 59, აწსუ პირველი და მესამე კორპუსები), რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, ფუნდამენტური და უახლესი ქართულენოვანი და უცხოენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც აწსუ-ს ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე, დეპარტამენტებთან არსებული ფილოლოგიის მიმართულების მცირე თემატური ბიბლიოთეკა/ წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: აწსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა
პროგრამის დასახელება: ფილოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის დოქტორი
სასწავლო კომპონენტი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნით ი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1	პროგრამისათვის სავალდებულო კურსები (27 კრედიტი)													
	ზოგადი კურსები და სემინარები													
1.1	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები (ენათმეცნიერება/ლიტერატურათმცოდნეობა)	4	100	30	3	67	1/0/0/1	x						
1.2	დარგის სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	4	100	30	3	67	1/0/0/1	x						
1.3	პროფესორის ასისტენტობა (პედაგოგიური პრაქტიკა)	4	100	30	3	67	0/2/0/0		x					
1.4	სემინარი 1,2,3	5/5/5	125/125/125	30/30/30	3/3/3	92/92/92	0/2/0/0	x	x	x				

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნით ი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
	პროგრამის არჩევითი კურსები (18 კრედიტი)													
	I-II სემესტრი													
2.1	ქართული ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე გამოწვევები (კვლევის უმთავრესი მიმართულებები და ახალი ინტერპრეტაციები)	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.2.	ქართული მწერლობა ევროპული ლიტერატურის კონტექსტში	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.3.	საერთო ქართველური ენისა და ქართველური ქვესისტემების ფონემატური სტრუქტურა (ისტორიული დინამიკა)	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2..4	ქართული სამწიგნობრო ენის გრამატიკის აქტუალური საკითხები (ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.5.	შეპირისპირებითი ლინგვისტიკა	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.6.	ლინგვოკულტუროლოგია	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.7.	თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.8.	ენათმეცნიერების ისტორია(ლინგვისტური აზროვნების დასაწყისიდან XIX საუკუნემდე)	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.9.	თანამედროვე ლინგვისტური თეორიები 1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.10.	თანამედროვე ლინგვისტური თეორიები 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.11.	ზერძნული ლიტერატურის აქტუალური საკითხები	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.12	რომაული ლიტერატურის აქტუალური საკითხები	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნით ი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
2.13	თურქული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.14.	თურქული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.15.	თურქული ლიტერატურა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში 1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.16.	თურქული ლიტერატურა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.17.	ირანული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.18.	ირანული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.19.	სპარსული ლიტერატურა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში 1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.20.	სპარსული ლიტერატურა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.21.	სემიტური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.22.	სემიტური ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.23.	არაბული ლიტერატურა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში 1	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.24.	არაბული ლიტერატურა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ჭრილში 2	5	125	30	3	92	1/0/0/1		x					
2.25	სამეცნიერო მუშაობის სტრატეგიები	5	125	30	3	92	1/0/0/1	x						
2.26.	სპეცკურსი საკვლევი თემატიკის მიმართულებაში 1	4	100	30	3	67		x						
2.27.	სპეცკურსი საკვლევი თემატიკის მიმართულებაში 2	4	100	30	3	67			x					

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი						დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნით ი გამოცდები									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
2.28.	საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ან უნივერსიტეტების სხვა სადოქტორო პროგრამებზე მოსმენილი სადოქტორო კურსები													
	სულ არჩევითი საგანი	**18**												
	სულ სასწავლო კომპონენტი	**45**		270										